# საქართველოს კანონი
# ამნისტიის შესახებ

ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ეს კანონი ითვალისწინებს იმ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებას, რომლებმაც ჩაიდინეს სამხედრო ვალდებულების ან სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

**მუხლი 1**

ეს კანონი ვრცელდება იმ პირზე, რომელსაც 2000 წლის 22 დეკემბრამდე ჩადენილი აქვს 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., №1, მუხ. 10) 81-ე (საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გაწვევისაგან ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისაგან თავის არიდება), $81^1$ (საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გამწვევ კომისიაში გამოცხადებისათვის თავის არიდება), 261-ე (სამხედრო ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებურად დატოვება), 262-ე (დეზერტირობა) მუხლებით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 1999 წელი, მუხ. 209) 356-ე (წვევამდელის მიერ სამხედრო ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისათვის თავის არიდება), 388-ე (სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება), 389-ე (დეზერტირობა) მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული.

**მუხლი 2**

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდეს ის პირი, რომელიც საქართველოს სასამართლოების მიერ მსჯავრდებულია ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენისათვის.
2. ამნისტიის შეფარდების საკითხს განიხილავს სასამართლო სასჯელაღსრულების დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით.

**მუხლი 3**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით არ აღიძრას ან შეწყდეს სისხლის სამართლის საქმეები ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილია 2000 წლის 22 დეკემბრამდე, თუ არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

**მუხლი 4**

ამნისტიის შეფარდების შესახებ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების დადგენილებას ამტკიცებს პროკურორი დადგენილების გამოტანიდან 5 დღის ვადაში. ამნისტიის შეფარდების საკითხის სასამართლოში განხილვისას პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

**მუხლი 5**

ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩამდენ პირს, რომელიც თავს არიდებს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებში, აგრეთვე სასამართლოში გამოცხადებას, ამნისტია შეეხება, თუ ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ ამნისტიის მოქმედების პერიოდში ნებაყოფლობით გამოცხადდება პროცესის მწარმოებელ ორგანოში, ან პროკურატურის ორგანოებს წარუდგენს ნოტარიულად დამოწმებულ განცხადებას მისთვის ამნისტიის შეფარდების შესახებ თანხმობის დადასტურების თაობაზე.

*საქართველოს 2001 წლის 28 თებერვლის კანონი №737 – სსმ I, №5, 02.03.2001 წ., მუხ.6*

**მუხლი 6**

ამ კანონით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებულ პირს მოეხსნას ნასამართლობა.

**მუხლი 7**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და შესრულდეს 4 თვის ვადაში.

*საქართველოს 2001 წლის 28 თებერვლის კანონი №737 – სსმ I, №5, 02.03.2001 წ., მუხ.6*

**საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.**
**თბილისი,**
**2000 წლის 28 დეკემბერი.**
**№696 –რს**

**შეტანილი ცვლილებები:**